

## სამელიორაციო მომსახურების გაწევის სტანდარტული პირობები

### 1. მოქმედების სფერო

1.1 წინამდებარე სამელიორაციო მომსახურების გაწევის სტანდარტული პირობები (შემდგომში “მომსახურება”) შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და აწესრიგებს მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობებს.

1.2. მომსახურება მომხმარებელს მიეწოდება მხოლოდ მომხმარებლის მიერ წარდგენილი წერილობითი განაცხადის საფუძველზე.

### 2. ტერმინთა განმარტება:

ამ სტანდარტული პირობების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

2.1. **მომსახურება** -მომხმარებლის წერილობითი განაცხადის საფუძველზე შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ გასაწევი ან/და გაწეული მომსახურება.

2.2. **მომხმარებელი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც განაცხადით მიმართა მიმწოდებელს მომსახურების მიღების მოთხოვნით.

2.3. **გადასახადი** – კონკრეტული საანგარიშო პერიოდისათვის მომხმარებლისათვის გაწეული მომსახურების საფასური.

2.4. **განაცხადი**-კომპანიის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმა, რომლის საფუძველზეც მომხმარებელი მიმართავს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის მოთხოვნით.

2.5. **განაცხადის რეგისტრაცია** - მიმწოდებლის მიერ პირის შესაბამისი წერილობითი განაცხადის მიმწოდებლის ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაცია და მომხმარებლისათვის შესაბამისი საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭება.

2.6. **მომხმარებლის ანგარიში** – ანგარიში მიმწოდებლის ბილინგის სისტემაში, სადაც აღირიცხება მომხმარებლისათვის მიწოდებული მომსახურებ(ებ)ის და დამატებითი მომსახურებ(ებ)ის ჩამონათვალი, მოცულობა და მომხმარებლის მიერ განხორციელებული გადახდები.

2.7. **საიდენტიფიკაციო კოდი** – სტანდარტული პირობების ფარგლებში მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის მინიჭებული კოდი, რომელიც აღრიცხულია მიმწოდებლის ბილინგის სისტემაში და რომლის მიხედვითაც ხდება მომხმარებლის იდენტიფიკაცია.

2.8. **მიმწოდებლის წარმომადგენელი** – პირი, რომელიც უფლებამოსილია შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს მოქმედებები, რაც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან.

2.9. **მომსახურების დროებით შეჩერება** - მომსახურების ფარგლებში მომსახურების სრული ან ნაწილობრივი შეჩერება (მათ შორის, ცალკეული დამატებითი მომსახურებების მიღების შეზღუდვა), რომელიც ხორციელდება მიმწოდებლის მიერ მომხმარებლის მოთხოვნით, ან გამოწვეულია კლიმატური პირობებით, სამელიორაციო სისტემის გაუმართაობით ან/და დადგენილი წესით მასზე ჩასატარებელი ღონისძიებებით.

2.10. ინდივიდუალური შეტყობინება – მომხმარებლის მიერ მითითებულ საცხოვრებელ, ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება.

2.11. მიმწოდებლის ვებ-გვერდი – მიმწოდებლის სახელზე რეგისტრირებული გლობალური კომპიუტერულ სატელეკომუნიკაციო ქსელის (www) დოკუმენტი ან ინფორმაციული რესურსი, რომლის მისამართია [www.http://ag.ge/](http://www.ag.ge/).

### **3. მომსახურების მიწოდების საფუძველი და წესი:**

3.1. მომხმარებელს მომსახურება მიეწოდება წერილობითი განაცხადის საფუძველზე. მომხმარებელი ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო შპს „საქართველოს მელიორაციის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ სამელიორაციო მომსახურების სტანდარტულ პირობებს და ეთანხმება მას.

3.2. სარწყავი სეზონის პერიოდში, კომპანიის მიერ პრიორიტეტი ენიჭება იმ მომხმარებლებს, ვინც მიმწოდებლის მომსახურებას იყენებს სასოფლო-სამეურნეო/ირიგაციული დანიშნულების სავარგულების მოსარწყავად.

### **4. მომსახურების საფასური:**

4.1. მომსახურების მიწოდების საფასური ქვეყნდება კომპანიის ვებ-გვერდზე.

4.2. მიმწოდებელი იტოვებს უფლებას, მუდმივი მომხმარებლებისათვის გააკეთოს სპეციალური შეთავაზებები (აქციები). სპეციალური შეთავაზებები (აქციები) შესაძლებელია იყოს როგორც მუდმივმოქმედი, ასევე დროებითი. სპეციალური შეთავაზებით (აქციებით) სარგებლობის პირობები მომსახურების მიმწოდებლის მიერ ქვეყნდება ვებ-გვერდზე.

### **5. ანგარიშსწორება:**

5.1. გასაწვევი/გაწეული მომსახურებისათვის მომხმარებელი იხდის მომსახურების საფასურს სტანდარტული პირობების შესაბამისად.

5.2. მომსახურების საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.3. მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს წინასწარი ან/და შემდგომი გადახდის პირობით.

### **6. მხარეთა უფლებამოვალეობანი:**

#### **6.1. მომხმარებელს უფლება აქვს:**

6.1.1. მიიღოს სრული ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებული მომსახურების შესახებ და მიმართოს მიმწოდებელს განაცხადით.

6.1.2. შეუფერხებლად მიიღოს ინფორმაცია მომსახურების მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის მიზეზებისა და ხანგრძლივობის თაობაზე.

#### **6.2 მომხმარებელი ვალდებულია:**

6.2.1. შეასრულოს სტანდარტული პირობებით, მომსახურების გრაფიკითა და მხარეთა შორის შეთანხმებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები, პირობები და მოთხოვნები და

განახორციელოს თავისი, როგორც მომხმარებლის, უფლებები პირადად, ან წარმომადგენელის მეშვეობით.

6.2.2. დაუყოვნებლივ მიმართოს, ან/და წერილობით შეატყობინოს მიმწოდებელს მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის (ფიზიკური პირის სახელი, გვარი და მისამართი; იურიდიული პირის სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, გადაწყვეტილება შერწყმის/გაყოფის შესახებ, რეკვიზიტები, წარმომადგენლობითი უფლებამოსილები და იურიდიული მისამართი და სხვა), ელექტრონული ფოსტის მისამართის, მათ შორის, ფაქტიური მისამართის, საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ და ასევე, მინდობილობის შემთხვევაში, მისი ცვლილების ან გაუქმების შესახებ.

6.2.3. მომსახურების საფასურის დარიცხვა განხორციელდება განაცხადის შევსებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, ხოლო მომსახურების საფასურის გადახდა - მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე.

### **6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:**

6.3.1. დაადგინოს მომსახურებისა და გადახდის პირობები და წესები.

6.3.2. ჩაატაროს გადაუდებელი საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო ღონისძიებები, რომელთაც შესაძლებელია მოყვეს მომსახურების შეჩერება, შეზღუდვა, გაუარესება, ან შეფერხებები, რომლებიც ემსახურება მომსახურების ხარისხის შენარჩუნებას, ან გაუმჯობესებას, ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

6.3.3. თუ მომხმარებელი დროულად არ გადაიხდის მიმწოდებლის წინაშე წარმოქმნილ დავალიანებას, მიიღოს აუცილებელი ზომები გადასახდელი თანხის ამოსაღებად.

6.3.4. მომსახურების შეზღუდვამდე, მომხმარებლის გაფრთხილების მიზნით, გააგზავნოს შეტყობინება მომსახურების მოსალოდნელი შეზღუდვის შესახებ.

### **6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:**

6.4.1. უზრუნველყოს მომხმარებლისთვის მომსახურების ჯეროვნად მიწოდება.

6.4.2. უზრუნველყოს მომხმარებლისათვის აუცილებელი და სწორი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მომსახურებების სახეებისა და საფასურის შესახებ.

6.4.3. განიხილოს მომხმარებლის პრეტენზიები დადგენილი წესით.

## **7. მომსახურების მიღება:**

თუ მომხმარებელი განაცხადში მითითებული მომსახურების შესრულების ვადის დადგომიდან 10 დღის ვადაში არ განაცხადებს მომსახურების მიუღებლობის შესახებ, მომსახურება ჩაითვლება შესრულებულად.

## **8. მიღება-ჩაბარების აქტი:**

მხარეთა შორის ურთიერთვალდებულების შესრულება შესაძლებელია დადასტურდეს მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

## **9. პირგასამტეხლო:**

9.1. მომხმარებლის მიერ წინამდებარე პირობების 6.2.3. პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, მომხმარებელს დაერიცხება სამელიორაციო მომსახურების გაწევის სტანდარტული პირობების 9.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2. პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს გადასახდელი მომსახურების საფასურის 0.01%-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

9.3. სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება, თუ დარიცხული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება მიაღწევს სახელშეკრულებო ღირებულების ოდენობას.